



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49213221

თარიღი:18/11/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 101

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821319119; 15/11/2021) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 2021 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 25 ერთეულს (მერის მრჩეველი -1, მერის თანაშემწე -2, მერის მძღოლი-1, მძღოლი-1, ფსიქოლოგი-1, დამლაგებელი-5, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი - 1, კონსულტანტი -3, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი - 1, მდივანი-1, ევროკავშირის 2014-2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროგრამის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB 1138) ფარგლებში კოორდინატორის-1, კოორდინატორის ასისტენტის-1, ტექნიკური მენეჯერის-1, PR მენეჯერის-1, საფინანსო მენეჯერის-1, ოფისის მენეჯერის-1 და 2 სპეციალისტის). ამასთან, როგორც მერი აღნიშნავს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და 3 სპეციალისტისაგან, რომელთაგან თანამდებობრივი ინსტრუქციის გათვალისწინებით 2 სპეციალისტი მუშაობს შესყიდვების, ხოლო ერთი სპეციალისტი მუშაობს მატერიალურ-ტექნიკური კუთხით. ამ უკანასკნელის ფუნქციების შესრულება ერთი სპეციალისტისათვის წარმოადგენს შრომატევად საქმიანობას, შესაბამისად მერს ესაჭიროება ერთი დამხმარე სპეციალისტი, რომელიც შეითავსებდა დამხმარე ტექნიკური ხასიათის საკითხების შესრულებას. ვინაიდან, მისთვის ხელშეკრულების გაფორმება სცილდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეზღუდვებს, მერი ითხოვს მერიაში დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამონაკლისის დაშვებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის №49.49210293 განკარგულებაში და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში - 1 მძღოლის, 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 3 კონსულტანტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 მერის მდივანის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში - 2021 წლის 31 დეკემბრამდე, ასევე საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე - კოორდინატორის,

კოორდინატორის ასისტენტის, ტექნიკური მენეჯერის, PR მენეჯერის, საფინანსო მენეჯერის, ოფისის მენეჯერის და 2 სპეციალისტის საგრანტო პროექტის დარჩენილი ვადით მიღების, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის და 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის - ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

